ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2155409

ნომერი: AR1335475

თარიღი : 17.08.2015

გაცემის თარიღი : 24.08.2015

გაცნობის თარიღი : 24.08.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი , დიდი დიღომი / ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ელგუჯა ფოცხორაია პ/ნ 01025010285
- თბილისი დიდი დიღომი ი.პეტრიწის ქ. N 19 ბ. 85

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი AR1335475 განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით სოფელ დიღომში, დიდ დიღომში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.72.14.038.890)-ზე მრავალბინიანი საცხოვრებელის სახლის მშენებლობას და ითხოვთ წარმოების დაწყების შემთხვევაში დაინტერესებულ მხარედ ჩართვას.

პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურს 2015 წლის 03 აგვისტოს AR1329421 ელექტრონული განაცხადით მომართა სიმონი ყრუაშვილმა და მოითხოვა ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში, დიდ დიღომში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.72.14.038.890) ორი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა, სამსახურში ამ ეტაპზე მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება, ხოლო თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და ობიექტზე ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

ასევე გაცნობებთ, რომ სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური 2012 წლიდან დოკუმენტბრუნვას აწარმოებს ელექტრონული სახით, შესაბამისად სამსახურის მიერ 2012-2015 წლების ინფორმაცია გამოტანილია ვებ–გვერდზე (tas.ge) და არის საჯარო.

ნებისმიერი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ობიექტების ფენის ჩართვის და დაინტერესებაში არსებული ობიექტის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge